# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 273. ხუთშაბათი, 25 ნოემბერი 1904 წ. გაზეთის № 2680.



### ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

წელიწადი **„ცნობის ფურცელი“** მეათე

**სურათებიანი დამატებით.**

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| | | |
|---|---|---|
| კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით **6** მან. | წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე. | საზღვარ გარედ ერთის წლით **9** მან. |

ყოველ თვიური ჟურნალი **„მოამბე“** წელიწადი მეთორმეტე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | | |
|---|---|---|
| კავკასიაში და რუსეთში 1 წ. **10** მან. ცალკე №—1 მან. | ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“ | საზღვარ გარედ 1 წლით **13** მან. ცალკე №—1 მ. 20 კ. |

**უფასოდ გაეგზავნება**

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც «ცნობის ფურცლის», ისე «მოამბის» მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

## დონ-კიხოტი

დორეს სურათებით

ეს თხზულება ნათარგმნია **ნიკოლოზ ავალიშვილის** მიერ და შედარებულია **ვიარდოს** ფრანგულ თარგმანთან **ალექსანდრე სარაჯიშვილის** დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ

**ევზნეგის ნაწერების ფორმატისას.**

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზ. ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მ ორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა «მოამბის» წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

**მასალები საქართველოს ისტორიისათვის**

ბაქრონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.


# ოთხი დღე ბრძოლის ველზე

(ფეხ მოჭრილ მეომრის ნაამბობი)

ვ. გარშინისა

მახსოვს, როგორ მივრბოდით ტყე-ტყე, როგორ ზუზუნებდა ტყვია, როგორ ცვიოდა ტყვიის მიერ მოწყვეტილი ხის ტოტები, როგორ ძლივ-ძლივობით მივდიოდით კუნლის ბუჩქებს შორის. სროლა გახშირდა. გორაზე გამოჩნდა რაღაც წითელი, აქეთ-იქით მოციმციმე. პირველ როტის სალდათმა სიდოროვმა („როგორ მოხვდა სიდოროვი ჩვენს რაზმში?“ გამიელვა თავში) უცებ ჩაიკეცა და უსიტყვოდ გადმომხედა თავის დიდრონის შეშინებულის თვალებით. პირიდან სისხლი მოსჩქებდა.

დიახ, კარგად მახსოვს ესა. მახსოვს აგრეთვე ისიც, რომ

ლი, უზარმაზარი, მე კი სუსტი და გამხდარი. მაგრამ მე მაინც პირდაპირ იმისაკენ გავიქეცი. ტკაცანი მომესმა და შევნიშნე, რომ ჩემს ახლო რაღაცა ვეებერთელამ გაიზუზუნა. ყურებმა ბჟუილი დამიწყეს. „ალბად ამ ოსმალომ თოფი მესროლა“, გავიფიქრე. იმან კი საზარელი ყვირილი მორთო და ზურგით კუნლის სქელს ბუჩქს მიაწვა. ოსმალოს შეეძლო ჩირგვს ასცილებოდა, მაგრამ შიშისაგან ყველაფერი დაავიწყდა და ეკლიან ტოტებსაც ვერ ამჩნევდა. ერთის მოქნევით გავაგდებინე ხელიდან თოფი, მერე მაგრა ხიშტი ვატაკე. კარგად გავიგონე იმისი ღმუილი, რომელიც კვნესისაგან თითქმის არ განირჩეოდა. მერე ხელ-ახლა განვაგრძე სირბილი. ჩვენები „ურას“ ჰყვიროდნენ, მირბოდნენ, ისროდნენ. მეც გავისროლე რამდენჯერმე თოფი, როდესაც ტყიდან მინდორში გავედით.

უეცრად „ურა“ უფრო ხმა მაღლა გაისმა და ჩვენ ყველამ ერთად გავსწიეთ წინ, ესე იგი ჩვენ კი არა, ჩვენებმა, რადგან მე დავრჩი. მე ეს მეუცხოვა. უფრო გასაკვირველი ის იყო, რომ უცებ ყველაფერი გაჰქრა, ყვირილი და სროლა მისწყდა, არაფერი აღარ მესმოდა, ვხედავდი მხოლოდ რაღაც ლურჯს, ალბად, ცა იყო. მერე კი ესეც გაჰქრა.

არასოდეს არა ვყოფილვარ ასეთს უცნაურს მდგომარეობაში. ვგონებ, პირქვე ვწევარ და ვხედავ მიწის მცირედ ნაწილს. ბალახი, ჭიანჭველა, რომელიც ერთ ბალახზე მიცოცავდა თავ-ქვე, შარშანდელ ბალახის ნაგლეჯები,—აი, ეს იყო მხოლოდ ჩემ წინ. ვხედავ ყველა ამას ცალის თვალით, რადგან მეორე თვალს რაღაცა ეფარება, ალბად ტოტი, რომელზედაც დაყრდნობილია ჩემი თავი. ვგრძნობ, რომ ძლიერ უხერხულს მდგომარეობაში ვარ, მსურს გავინძრე, მაგრამ სრულიად არ გამეგება, რატომ არ შემიძლიან განძრევა. ასე მიდის დრო. მესმის კალიების ტკაცანი, ფუტკრის ბზუილი. სხვა ჩემთვის არაფერი არ არსებობს. ბოლოს ვიკრებ უკანასკნელ ძალ-ღონეს, ვათავისუფლებ მარჯვენა ხელს, რომელსაც ამდენ-ხანს ვაწევი, ვებჯინები ორივე ხელით მიწას და მინდა მუხლებზე წამოვიჩოქო.

რაღაც ბასრი და ელვასავით სწრაფი გამირბის სხეულში მუხლებიდან მკერდსა და თავისაკენ, და ისევ ძირს ვეცემი. ხელ-ახლა ბნელა, ხელ-ახლა ვერაფერსა ვხედავ.

—

გამეღვიძა. რათა ვხედავ ამ ვარსკვლავებს, რომლებიც ასე მხიარულად კაშკაშებენ ბოლგარეთის ლურჯ ცაზედ? ნუ თუ კარავში არა ვარ? რისთვის გამოვფოფხდი იქიდან? ვინძრევი და ვგრძნობ მწვავე ტკივილს ფეხებში.

დიახ, დავჭრილვარ ბრძოლაში. მძიმედ თუ სუმბუქად? ვეხები ფეხებს იქ, სადაც მტკივა. ორივე ფეხი დასისხლიანებულია. როდესაც ხელს ვაკარებ, ტკივილი მატულობს. ეს ტკივილი ისეთივეა, როგორც კბილის ტკივილი: განუწყვეტელი, სულის შემწუხებელი. ყურები მიბჟუის, თავი დამიმძიმდა. ბუნდად ვგებულობ, რომ დაჭრილი ვარ ორსავე ფეხში. თუ ასეა, რად დამტოვეს აქ? რატომ არ წამიყვანეს? ნუ თუ ოსმალოებმა დაგვამარცხეს? ვიგონებ, რაც თავს გადამხდა, ჯერ ბუნდად, მერე კი უფრო გარკვევით. მაგონდება, რომ ჩვენ სულაც არ დავმარცხებულვართ. მე დავეცი (მართალია, ეს არ მახსოვს, მაგრამ ის კი მაგონდება, რომ ყველა წინ გაიქცა, მე კი ვერ შევსძელ გაქცევა და რაღაც ლურჯი დავინახე) გორაკის ვაკე წვეროზედ. ამ ვაკეზედ გვითი-

იქ უნდა ავიდეთო!“—დაიყვირა იმან თავის წვრილი ხმით. ჩვენ მართლაც ავედით იქ, მაშასადამე არ დავმარცხებულვართ.



იაპონელი გენერალი ხასეგავა.

რად დამტოვეს მე? ეს ვაკე ხომ გაშლილია და ყველაფერს დაინახავდნენ. მარტო მე არ ვიქნები აქ, რადგან სროლა ისე ხშირი იყო. როგორმე თავი უნდა მოვიბრუნო და მივიხედ-მოვიხედო. ეხლა უფრო ადვილია ეს, რადგან წინად, როდესაც გონს მოვედი, ვხედავდი ბალახსა და ჭიანჭველას, რომელიც თავქვე მიცოცავდა. მოვინდომე წამოდგომა, მაგრამ პირალმა დავეცი. ამიტომ ვხედავ ამ ვარსკვლავებს.

წამოჯდომა მოვინდომე. როდესაც ორივე ფეხი დამტვრეული გაქვს, ძლიერ ძნელია წამოდგომა. რამდენჯერმე იმედსაც ჰკარგავ. ბოლოს, ტკივილისაგან თვალცრემლიანი წამოვჯექი. ჩემს ზევით ლურჯ-ბნელ ცის მცირედი ნაწილია. ანათებს ერთი დიდი ვარსკვლავი და რამდენიმე პატარა. გარშემო მარტყია რაღაც შავი და მაღალი. ეს ხომ ბუჩქებია. მაშ ბუჩქებში ვყოფილვარ. აი, რატომ ვერ დამინახეს! გასაკვირველი ის არის, რომ თოფი მინდორში მესროლეს და აქ საიდან გავჩნდი? ალბად, დაჭრილი, ტკივილისაგან გონება დაკარგული მოვფოფხდი აქ. ისიც საკვირველია, რომ ეხლა ვერ ვინძრევი და მაშინ კი შევიძელი ამ ბუჩქებამდის მოსვლა. მაგრამ, შეიძლება, მაშინ ერთი ჭრილობა მქონდა, მეორე ტყვია კი აქ მომხვდა.

დიდ ვარსკვლავს ფერი შეუკრთა, რამდენიმე პატარა კი მთლად გაჰქრა: ამოდის მთვარე. რა კარგია ეხლა შინ ყოფნა!

რაღაც უცნაური ხმები მესმის, თითქოს ვიღაც კვნესისო. დიახ კვნესაა. იქნება კიდევ წევს ვინმე ჩემებრ მივიწყებული, ფეხებ დამტვრეული ან მუცელში ტყვიით დაკოდილი. კვნესა ახლოდან ისმის, ჩემს ახლო კი ვერავის ვამჩნევ. ღმერთო ჩემო, ეს ხომ თვით მე ვარ! დაბალი, მწარე კვნესა! ნუ თუ მართლა ასე მტკივა? ალბად, ეს ტკივილი არ გამეგება, რადგან თავში ტყვია მაქვს. სჯობია, დავიძინო ისევ, ვიძინო, ვიძინო... გავიღვიძებ ოდესმე? სულ ერთია.

იმ დროს, როდესაც დავაპირე დაწოლა, მთვარის მკრთალმა შუქმა გაანათა ის ადგილი, სადაც ვიწექ. ხუთი ნაბიჯის სიშორეზედ შევამჩნიე რაღაც შავი. აქა-იქ ამ შავზე რაღაც ბრჭყვიალებს მთვარის შუქზედ. ეს უთუოდ ფოლაქები ან იარაღია. ალბად, მკვდარია ან დაჭრილი.

სულ ერთია, მე ვწვები.

არა, შეუძლებელია, რომ ჩვენები წასულიყვნენ. ისინი აქ არიან. გარეკეს ოსმალები და თვითონ დაიჭირეს ეს ადგილი, მაგრამ რატომ არ ისმის არც არავისი ლაპარაკი, არც ცეცხლის ტკაცანი? ალბად ისე დავსუსტდი, რომ არაფერი არ მესმის. ისინი უსათუოდ აქ არიან.

„მიშველეთ! მიშველეთ!“—დავიწყე ყვირილი.

ველური, შეშლილისებური, ხრინწიანი გოდება აღმომხდა მკერდიდან და უპასუხოდ გაიფანტა ღამის წყვდიადში. დანარჩენი ყველაფერი სდუმს. მხოლოდ კალიებს გააქვთ განუწყვეტელი ტკაცანი. მთვარე თითქოს შებრალებით მიყურებს.



გენერალი ხოსეგავა ბრძოლის ველზე.

ის რომ დაჭრილი ყოფილიყო, უთუოდ გონს მოვიდოდა ჩემის ყვირილისაგან. მაშ, მკვდარია? ჩვენია თუ ოსმალო? ოჰ, ღმერთო ჩემო, თითქოს სულ ერთი არ იყოს. ძილი ეშვება ჩემს ანთებულს თვალებზედ.

—

ვწევარ თვალებ დახუჭული, თუმცა რახანია გამომეღვიძა. არ მინდა, თვალები გავახილო, რადგან დახუჭულს ქუთუთოებშიაც ატანს მზის შუქი. თუ გავახილე ქუთუთოები, შუქი თვალს მომჭრის. სჯობია არ გავინძრე. გუშინ (ვგონებ, გუშინ იყო) დამჭრეს. უკვე გავიდა ერთი დღე და ღამე, გაივლის კიდევ მეორე და შემდეგ მოვკვდები. სულ ერთია. უკეთესია არ გავინძრე, სხეული უძრავად დავიჭირო. რა კარგი იქნება, ფიქრსაც შევწყვეტდე, მაგრამ ეს შეუძლებელია. ფიქრები, მოგონებანი არ მაძლევენ მოსვენებას. მაგრამ, ასე ხომ დიდხანს არ გაგრძელდება, მალე ყველაფერი გათავდება. მხოლოდ იმას კი დაბეჭდავენ, რომ ჩვენი ზარალი მცირე იყოო... დაჭრილია ამდენი, მოკლულია ერთი სალდათი ივანოვი. არა, სახელსაც არ დასწერენ, მხოლოდ ამას იტყვიან: მოკლულია ერთი, ერთი სალდათი, როგორც ის ერთი ძაღლი...

ეს ამბავი რახანია მოხდა, მაგრამ ყველაფერმა, მთელმა ჩემმა ცხოვრებამ, იმ ცხოვრებამ, როდესაც აქ არ ვიწექი



სამზარეულო იაპონელთა ბანაკში.

ფეხებ დამტვრეული, დიდი ხანია გაიარა. ქუჩაში მივდიოდი, ხალხმა შემაჩერა. ბრბო იდგა და გაჩუმებული უყურებდა რა-



იაპონიის ჯარის შესვლა ლიაოიანში.

ლაცა თეთრსა და გასისხლიანებულს. ეს იყო ლამაზი ფინია, რომელიც საბრალოდ წკმუტუნებდა. ფინია ქვეშ მოჰყოლოდა ცხენის რკინის გზის ვაგონს. კვდებოდა, აი ასე, როგორც ეხლა მე ვკვდები. ვიღაც მეეზოვემ მუჯლუგუნებით გაიკაფა ხალხში გზა, დაავლო ფინიას კისერში ხელი და წაიღო. ბრბო დაიშალა.

მეც წამიყვანს ვინმე? არა, აქ ეგდე და სული დალიე. მერე, რა კარგია ცხოვრება... იმ დღეს (როდესაც იმ ფინიას უბედურება შეემთხვა) მე ბედნიერი ვიყავი. დავდიოდი როგორღაც გაბრუებული.. თქვენ, მოგონებანო, ნუ მტანჯავთ, თავი დამანებეთ! განვლილ ბედნიერების მოგონება ნამდვილი ტანჯვაა... ჩემთვის საკმარისია დღევანდელი ტანჯვაც, ზედ ნუ ერთვიან წარსულის მოგონებანი. ეჰ, მწუხარებავ, მწუხარებავ, ჭრილობაზედ უფრო მწარე ხარ!

მზემ პირი გაახურა, სიცხე მატულობს. ვახელ თვალებს და ეხედავ იმავ ჩირგვებს, იმავე ცას, მხოლოდ მზის სინათლეზედ. აგერ ჩემი მეზობელიც. მკვდარი ოსმალოა. რა უზარმაზარია! ვცნობ: ეს ხომ ისაა...

ჩემს წინა გდია ჩემ მიერ მოკლული კაცი. რისთვის მოვკალ? გდია აქ მკვდარი, გასისხლიანებული. როგორ მოვიდა აქ? ვინ არის? მასაც ჩემსავით ეყოლება მოხუცი დედა. ვინ იცის, მოხუცი საღამ-საღამოობით დიდხანს ზის ღარიბ ქოხის კარებთან და თვალები კი ჩრდილოეთისაკენ უჭირავს: იქნება ჩემი საყვარელი შვილი, მუშა და მარჩენალი, მოვიდესო.

მერე მე? მეც მაგასავით... მე ჩემს ბედს, ვგონებ, მაგისაში გავცვლიდი. ეხლა აღარ ესმის არაფერი, აღარა გრძნობს არც ტკივილს ჭრილობებისაგან, არც გულის შემზარავ მწუხარებას, არც წყურვილს. ხიშტი პირდაპირ გულში მოხვედრია. აგერ მუნდირზე დიდი ნახვრეტიც დაუჩნევია, იმის გარშემო კი სისხლია. **მე მოვიქმედე ესა.**

არ მინდოდა ჩამედინა ასეთი საქმე. მე არავისთვის ცუდი არა მსურდა, როცა საომრად მოვდიოდი. მე სრულადაც არა ვფიქრობდი იმაზედ, რომ მომიხვდებოდა ვისმე მოკვლა. მხოლოდ იმასა ვფიქრობდი, როგორ დავუხვედრებდი ტყვიას ჩემს მკერდს.

მერე რა? სულელო, სულელო! ეს საბრალო ფელლახი*) (იმას ეგვიპტელის ტანისამოსი ეცვა) შენზედ ნაკლებ არის დამნაშავე? წინად, სანამ მათ გემებზე დაჰყრიდნენ, როგორც თევზს ბოჭკაში, და წამოასხამდნენ სტამბოლს, მაგას არა გაუგონია-რა არც რუსეთზედ, არც ბულგარეთზედ. უბრძანეს წამოსულიყო, მაგასაც ბევრი არ უფიქრნია, ადგა და წამოვიდა. შესაძლოა, შიშის გამო წამოვიდა: რომ არ წამოსულიყო, დაუწყებდნენ ჯოხით ცემას ან იქნება რომელსამე ფაშას მაგისთვის რევოლვერიც კი დაეხალა. მან დიდის გაჭირვებით გამოიარა გრძელი და ამასთან ძნელი გზა სტამბოლიდან რუშჩუკამდე. ჩვენ დავეცით, ის თავს იცავდა. მაგრამ დაინახა რა, რომ ჩვენ, უშიშარ კაცებს, არ გვეშინიან იმის ინგლისურ მარტინისი და პიბოდის თოფებისა, სულ მივიწევთ და მივიწევთ წინ, იგი შიშმა შეიპყრო. როდესაც მოინდომა გაქცევით თავის დაღწევა, მოვარდა ერთი პატარა კაცი, რომლის მოკვლაც შეეძლო თავის შავი მუშტის ერთის დაკვრით, და ატაკა ხიშტი შიგ გულში.

რა დააშავა? რად მოვკალი?

რად ვიტანჯები წყურვილისაგან? წყურვილი! ვინ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა? მაშინაც კი, როცა რუმინიაში ორმოც გრადუსიან სიცხის დროს დღეში გავდიოდით ორმოცდაათ ვერსს, მაშინაც არა ვგრძნობდი იმ ტანჯვას, რასაც ეხლა ვგრძნობ. ოჰ, ნეტავი მოვიდეს ვინმე!

ღმერთო ჩემო, უსათუოდ ამას ამ ვეებერთელა ფლიაგათი წყალი ექნება. მაგრამ იქ მისვლა არ უნდა?! რამდენ ტანჯვად დამიჯდება ეს წყალი? რამდენიც უნდა ვეწვალო, მაინც მივალ.



დაჭრილი იაპონელი ჯარის კაცი იპოვეს ხუთი დღის შემდეგ ცოცხალი.



იაპონელ ჯარის კაცთა სადილობა.

მივფოფხავ, ფეხებს მივათრევ. დასუსტებული ხელები ძლივს სძრავენ დამძიმებულს სხეულს. გასავლელი მაქვს ორი საჟენი,

*) ფელლახი ეგვიპტელი მიწის მუშაა.

მაგრამ ეს ჩემთვის რამდენიმე ათ ვერსზე უფრო ძნელია. მაინც აუცილებლად უნდა წავფოფხდე. ყელში მწვავს, თითქოს იქ ცეცხლი იყოს გაჩაღებული. არა სჯობია, აქ დავრჩე, უწყლოდ უფრო მალე მოვკვდები...

მაგრამ მაინც მივფოფხავ. ფეხებს მიწაზე მივათრევ. ყოველი განძრევა აუწერელს ტკივილს იწვევს. ვყვირი, ვყვირი, ვგოდებ, მაგრამ მაინც მივფოფხავ. ბოლოს, აი ის... აგერ საწყლეც... შიგ წყალია და მერე რამდენი! ნახევარ ბოთლზე მეტია. წყალი მეყოფა დიდხანს... სიკვდილამდის! ის, ვინც ჩემის ხელით სული დალია, მიხსნის სიკვდილის კლანჭებისაგან. დავუწყე პირის ახდა ჭურჭელს. ამისთვის დავებჯინე ცალ იდაყვს, მაგრამ უეცრად გადამცალა და დავეცი ჩემის მხსნელის მკერდზედ. გვამი უკვე აყროლებულიყო.

—

წყურვილი მოვიკალი. წყალი თუმცა თბილი იყო, მაგრამ არ წამხდარა. ამასთან ბლომადაც იყო. ვიცხოვრებ კიდევ რამდენსამე დღეს. მაგონდება, ერთს წიგნში სწერია, რომ უსაჭმლოდ კაცს შეუძლიან გასძლოს კვირაზედ მეტ ხანს, ოღონდ წყალი ჰქონდეს. იქვე მოთხრობილია ერთის თვითმკვლელის ისტორია, რომელმაც შიმშილით მოიკლა თავი. ამ კაცმა დიდხანს გასძლო, რადგან სასმელს ხმარობდა.

მერე რა? მე რო კიდევ ხუთი ექვსი დღე ვიცხოვრო, რა იქნება ამით? ჩვენები წავიდნენ, ბოლგარელები მიიფანტმოიფანტნენ. გზას დაშორებული ვარ. სიკვდილი ხომ მაინც აუცილებელია. განსხვავება ის არის, რომ სამი დღის ნაცვლად ვეწვალები ექვსს დღეს. ის არა სჯობია, მალე მოვკვდე... მეზობლის ახლო გდია იმისი თოფი, მშვენიერი ინგლისური თოფი. საკმარისია ხელში ავიღო, ერთს წუთში მორჩა და გათავდა. აქვე ჰყრია პატრონები, რომლის დაცლაც ოსმალოს ვერ მოუსწვრია.

მაშ მოვრჩე თუ მოვუცადო? რას? ჰხსნას? სიკვდილს? მოვიცადო, სანამ მოვიდოდნენ ოსმალები და დაჭრილ ფეხებზე ტყავს გამაძრობენ! ისა სჯობია, თვითონ მოვიდო ბოლო...

მაგრამ არა, არ უნდა დავეცე სულით, უნდა ვიბრძოლო ბოლომდის, სანამდე ძალღონე შემრჩება. იქნება დამინახოს ვინმემ, მაშინ ხომ გადავრჩი. შესაძლოა, ძვლები მთელი მაქვს, მომარჩენენ, ხელახლა მეღირსება სამშობლოს, დედის, მაშოს ნახვა...

ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ იმათ ყველაფერი შეიტყონ. უკეთესია, იფიქრონ, ვითომ მე მაშინვე მოვკვდი. რა მოუვათ, თუ შეიტყეს, რომ ვეწვალე ორ, სამ, ოთხ დღეს!..

თავი მიბრუის. მეზობლისაკენ მგზავრობამ მთლად დამასუსტა. ეხლა კიდევ ეს სიმყრალე მიხუთავს სულს. რა რიგად გაშავდა, ეხლა რომ ასეთია, როგორი იქნება ხვალ, ზეგ! ეხლაც იმიტომ ვგდივარ აქ, რომ არ შემიძლიან აქედან დავიძრა. ცოტას შევისვენებ და ისევ წავფოფხდები ძველს ადგილზედ. საბედნიეროდ, ქარიც იქიდან მოჰქრის და ჯერ ამაშორებს საძაგელ სუნს.

ვგდივარ არაქად გამოლეული. მზე სახესა და ხელებს მიწვავს, რადგან არაფერი მაქვს დასახურავი. ნეტა ღამე მალე დადგეს. ვგონებ... მეორე ღამე იქნება. აზრები მებნევა, გონს ვკარგავ, ვიძინებ...

ინ-კანი.

(დასასრული იქნება)




რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი